სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

03/05/2025

MES 0 25 0000478694

ბრძანება

ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „დ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-6 მუხლის მე-11 და მე-14 პუნქტების საფუძველზე და ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2025 წლის 23 აპრილის №433911 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით" გათვალისწინებული დეტალური სფეროს „0841 ვეტერინარია“ შინაარსობრივ ფარგლებში შემავალი ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოიყვანოს ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის მიღების მიზნით, ცენტრში წარდგენილ უნდა იქნეს 1 წელზე ნაკლებ ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის მიღების მიზნით, ცენტრში წარდგენილ უნდა იქნეს ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 წელზე ნაკლებ ვადაში, საგანმანათლებლო პროგრამა განაცხადის წარდგენის ეტაპზე შესაბამისობაში უნდა იყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დარგობრივ მახასიათებელთან.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ცენტრში ვეტერინარის მომზადების ახალი საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, პროგრამა შესაბამისობაში იყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დარგობრივ მახასიათებელთან.
4. ძალადაკარგულად გამოცხადეს „ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2018 წლის 09 მარტის №181 ბრძანება.
5. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
6. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა